23 მარტი, 1908 წ.

ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი



№ 24



„შავი ზღვისა“ და „შავი ქვის“ ფალავნები.

„შავი ზღვის“ გმირმა ფოთისთვის
საფუთო იგდო გროშები,
თუმცა პეტერბურგს სირბილით,
ბლომა გასცვითა ქოშები,

„შავი ქვის“ გმირი გაჯავრდა:
ულუფა იყო ჩემიო,
ქიათურისთვის მინდოდა
წავალ, თავს დავეცემიო.

გამოიწვია საომრათ
ფოთისა მდევი ბაყ-ბაყი,
თითონაც ქიათურიდან
წინ შეეგება ამაყი.
დასტაცეს ხელი ერთმანეთს,
დასჭიმეს კუნთებ-ძარღვები,
ორივე გამოცდილია,
მრავალ გზის განამარჯვები.
შავი ზღვის გმირმა მოგვერდი
ჰკრა ქიათურელ გიოსა
და მუხლზე წამოაჩოქა,
ზურგი ვერ დააკვრიოსა.

**ჩემპიონი.**



## ახალი ცნობები.

სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ აპრილის პირველი რიცხვებიდან, გაზეთ „ზაკავკაზიეში" დაიწყება მეთაურების წერა. ამდენ ხანს მეთაურების უქონლობა აიხსნება იმით, რომ ცნობილი ლიტერატორი, კოტე ხერხეულიძე, დაჟინებით უარს ამბობდა თანამედროვე საჭირ-ბოროტო კითხვების გარკვევაზე. დღეს კი რედაქციას შეუძენია ისეთი დაუფასებელი ხელმძღვანელი, და ისეთი ცნობილი ჟურნალისტ-ბულვარისტი, როგორიც ბრძანდება ქუთათური დიდიმ ჩიკვაიძე.

გულ-წრფელათ ვუსურვებთ ბ. გოთუას ორგანოს ამ გზით სვლა-განვითარებას.

—

ქიათურიდან გვატყობინებენ და ჩვენც სიამოვნებით ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ ადგილობრივ დრამატიული საზოგადოების კრებიდან გამოტანილი შთაბეჭდილება, თითქო კრების თავმჯდომარე კიტა აბაშიძე ქკუიდან შეწძრკულიყოს, თითქმის არა მართლდება. მართალია მხოლოდ ის, რომ კრებაზე დამსწრენი კიტამ ილიას მკვლელებათ მონათლა და ცოდვის მონანიება მოსთხოვა, მართალია ისიც, რომ მუშებს სიტყვა არ მისცა და მათი საზოგადო საქმეში მონაწილეობა საქმის დაღუპვათ ცნიარა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ფედერალისტური აზრია და თუ ამ მხრივ გავსინჯავთ მის მოქმედებას აღნიშნულ კრებაზე, ვერავითარ აზრის განსხვავებულ მიდრეკილებას ვერ აღმოვაჩენთ.

---

***

რა გინდ მდევნოს მწარე ხვედრმა
და მიქციოს გული წყლულათ,
მაინც ვდგევარ ბრძოლის ველზე
ამაყათ და გაბედულათ!
ბოროტების მთლად მოსპობა,
სიმართლისთვის თავდადება,—
ეს შეადგენს ბრძოლის დევიზს,
ამაშია მთელი მცნება!
და ამ მიზნით კიდეც ვიბრძვი
ყოველს ადგილს, ყოველ დროსა,
და თამამად ხელთ მიპყრია
ერთობის და ძმობის დროშა!
არჩეულ გზას არ დავტოვებ,
თუნდაც დადნეს მკერდში გული,
მაინც ვდგევარ ბრძოლის ველზე
ამაყი და გაბედული!..

**ნ. ზომლეთელი.**

---

# ბ უ.

### რომაული იგავი.

ბუ ფრინველებს **მზის** შესახებ ლექციას უკითხავდა.

— მზე ქვეყანაზე უსაზიზღრესი ქმნილება არისო, დაიწყო მან.

ფრინველებმა სტვენა ასტეხეს.

— რას ხმაურობთ, თქვე ბრიყვებო, გაჯავრებით წამოიძახა ბუმ.

— იმიტომ ვხმაურობთ, რომ თქვენ სტყუით ბ-ნო ბუვ, მიუგეს ფრინველებმა. მზეზე უმშვენიერესი ქვეყნათ არაფერი მოიპოვება!

— ოჰ უგუნურნო, უგუნურნო, განაგრძო ბუმ მზის სხივებზე ხომ არაფრის გარჩევა არ შეიძლება? სამაგიეროთ სულ სხვაა ღამე, როცა ბნელა ყველაფერი კარგათა სჩანს.

— როგორ? ღამე სჩანს ყველაფერი კარგათ? აი ნამდვილი ბრიყვი, გადიხარხარეს ფინველებმა და გაფრინდენ.

დარჩა ობლათ ბუ ხის ტოტზე ჩამომჯდარი. ის მწარედ დაღონებული ფიქრობდა იმაზე, თუ რამდენათ ბრმა და განუვითარებელნი იყვენ ფრინველები, რომ მათ გამოფხიზლებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი.

**ჯაფარ-ფაშა.**

**შენიშვნა:** რაღა ლექტორი ბუ და რაღა ჩვენი ფედერალისტები.

ეშმაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაზაფხული.

იშლება ვარდი, ჰა, სადაც არი
გადაეხვევა იმას ბულბული,
აგერ მაისიც გამზადებულა,
რომ სარეცელათ მათ უძღვნას გული!
ნიავი ტყესა დაუძმობილდა,
რა ფოთლით მოსვა დაიწყო მანა,
თითქოს ვარდ-ბულბულს, მაისის მკერდზე
ტკბილის შრიალით სურს უთხრას ნანა!
მდელო ცვარის ქვეშ ნაზათ ციმციმებს,
ყვავილთ სიტურფით დამშვენებული,
და ამ სურათებს მომხიბლავ ჩხრიალს,
აქსოვს, უერთებს მთის ხაკადული!
ბუნება უკვე დღესასწაულობს,
მან გაიშორა ცივი ზამთარი,
მე კი ჩემს ჯალათს ვერ ვახწევ თავსა,
გულში მასვია მისი ლახვარი!..

**რ. ლეჩხუმელი.**



# პატარა ფელეტონი.

## ქართული თეატრი.

წინაც მიკვირდა და დღესაც მიკვირს...
(ან კი, არ არის გასაკვირალი?!)
ჩვენ ქართულ სცენას მსახიობებმა
რომ მოაშორეს მოწყალე თვალი?!

დიახაც რომ საკვირველია და უბრალო მომაკვდავი თავის სიცოცხლეში ვერც კი გაიგებდა ქართული სცენის დაძაბუნების მიზეზს, რომ ვიდაც სევდაჶ (ალბათ დიდი რიკული მწერალია!) არ გამოეცა პატარა ბროშიურა ამ სათაურით: „ქართული თეატრი“.

ამ პატარა წიგნაკში ბევრი სასაცილო ამბებია მოთხრობილი, ქართული თეატრის კულისების ცხოვრებიდან და სამართლიანათ გამოიწვია ნიშადურელი იუპიტერის რისხვა. ვინც ქართული თეატრის მსახიობთა დღევანდელ „ჯგუფს“ არ იცნობს, იმისთვის ძნელი გასაგებია თურმე მიზეზი ქართული სცენის გაძარცვისა. მართლაც რასა გავს ერთი თქვენი ჭირიმეთ:

მესხიშვილი გარდიხვეწა,
არც ჩხეიძე ნინა სწყალობს,
და სცენაზე, როგორც თაგვი
მარტო ტასო დაცანცალობს.
აბაშიძეს თუ არ ჩავთვლით
ნიჭი არცერთს აღარ სწყალობს
ჭირის ოფლში გაიწურვი
რო უყურებთ როგორ წვალობს.

ამის შემხედვარე გარეშე მაყურებელი უთუოდ იფიქრებს: „რა ღვთის რისხვაა, რომ არც ერთი ბედაური არტისტი ჩვენს სცენაზე აღარ იცდის და ამათ დარჩათ მოედანიო.

ბ-ნი სევდა ამ საქმეში ბრალსა სდებს პირველყოვლისა სრულიად საქართველოს და კერძოთ ბ-ნ არტისტებს **„თავიანთი სულის ჩამდგმელ წინამძღოლით სათავეში“** ვინ არის ეს წინამძღოლი? ამაზე ქვევით.

სევდას აზრით (თუ გამოც...ილებით) ქართული სცენის არტისტი შემდეგი სასიქადულო ღირსებებით არის დაჯილდოვებული: 1) ის არის სრულიად მოუმზადებელ-განუვითარებელი მონა ანუ მხევალი. 2) სუსტი ძალ-ღონის ანუ ნიჭის მქონე. 3) ინტელიგენტობას სრულიად მოკლებული. 4) ზარმაცი უმაღლეს წერტილამდე და პიესის შინაარსის მუდამ ჟამს გარეშე მდგომი. 5) ქართული ენის უცოდინარი და მრავალი ამგვარები.

როგორც ხედავთ, სურათი მაინცა და მაინც ვერაფერი სანუგეშოა.

ბ-ნ სევდას მხოლოდ „ნიშადურმა“ გასცა პასუხი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ეს პასუხიც ნამდვილ „ნიშადურ“ ამოცხებული ადამიანის პასუხსა გავს. ჯერ ერთი ძალიან საეჭვოა იმ „ახალგაზრდა“ მოპასუხის ახალგაზრდობა. ქართულ სცენაზე დღეს აღარ ბოგინობს ისეთი ახალგაზრდა, რომლის ნიჭს მომავლისაკენ ჰქონდეს გზა და არა წარსულისაკენ. და ესეც არ იყოს, რადა მარტო „ნიშადური“ გამოდგა შეურაცხყოფილი არტისტების მოსარჩლე? ალბათ აქ რადაც ძაღლის თავია დამარხული.

და რომ ეს განძი აღმოვაჩინოთ საჭიროა გავიგოთ რასა სწერს ბ-ნი სევდა ქართული თეატრის რეჟისორზე.

„რეჟისორი უმთავრეს ნაწილათ ფოიეში გახლავთ, სადაც ან პაპიროზს ეწევა, ან ლაზღანდარობს და ან თუ სცენაზეა თავ ჩაქინდრული სდგას და ქვეშ-ქვეშ გამოიყურება. არასოდეს არ მომხდარა ქართული სცენის რეჟისორს აეხსნას პიესის შინაარსი.

„ყვავს რა ჰქონდა, ჩხიკვს აძლევდაო“ ამბობს ანდაზა და ამ თქმისა არ იყოს, რა უნდა მოეთხოვოს ქართული სცენის რეჟისორს, როცა ზედამხედველი დახსია·

თების საუკეთესო მაგალითს თვით რეჟისორი წარმოადგენს.

ვინ არის ქართული სცენის რეჟისორი? ის გახლავთ ბ-ნი ვალერიან გუნია, სულის ჩამდგმელი გაზეთი „ნიშადურისა“. სწორეთ ამიტომ ცხარობს ნიშადურის ფურცლებზე ბ-ნი „ახალგაზრდა მსახიობი“ და სწორეთ ამისთვის იგისრა მხოლოდ და მხოლოდ „ნიშადურმა“ სევდასი და შემდეგ ნ. ჩხეიძესთან პოლემიკა. ამგვარათ ჩვენ აღმოვაჩინეთ ის თავი, რომელიც ნიშადურში იყო ჩამარხული და რომელიც ასე უთავბოლოთ უქევს გარეშეებსაც და შინაურებსაც.

დასასრულ საჭიროთ მიმაჩნია მოვიხსენიო ისეთი „ავტორიტეტიულ ხელოვნების დამფასებელთა“ აზრი, როგორიც არიან თფ. სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფენი. ისინი არ ეთანხმებიან ბ-ნი სევდას აზრს, რეჟისორის შესახებ და შემდეგ მრავალ მნიშვნელოვან ხოტბას ასხამენ ქართული ცსენის დაუღალავ მუშაკს და მსახიობ-რეჟისორს ვ. გუნიას.

ჩვენც სხვებთან ერთად რა გეგებებით
ვაშას დაგძახით საყვარელ მუშაკს,
მორჩილ სალამთან ქება-დიდებას
მოგიძღვნით მარად შენ, სცენის გუშაგს.
ბევრგვარ ცხოვრების სარკე გვიხილავს
შენი ღვთიური ნიჭის წყალობით
და მოხიბლულნი შენგან მოძმენი
მოგესალმებით გულწრფელ მადლობით.

გულების სიღრმიდან ამოხეთქილი გრძნობები განმარტებას აღარ საჭიროებენ. სასიამოვნოა, რომ

არ დაეკარგა „მოღვაწეს“
სამშობლოს ნამსახურები
და „ღვთიურ ნიჭათ“ დასახეს,
თუმც გრძელი უჩანს ყურები.

ჯლიბაი.



# წერილები ეშმაკისადმი.

**საყულიიდან** ძმაო ეშმაკო! ბევრი ვიცადეთ, მაგრამ უშენობა აღარ მოხერხდა.

ისევ შენ და ისევ შენ
საყვარელო ეშმაკო,
იქნებ შენ მოგვირჯულო
ჩვენი მოსე მიხაკო.

საქმე იმაშია, ძმობილო, რომ ჩვენ გვყავს ერთი ძვირფასი მწერალი მიხაკო. ვერ წარმოიდგენ, ეშმაკო ჯან, როგორ უყვარს ჩვენ სოფელს ბ-ნი მიხაკო.

მისი ჩვენგან გაშორება
ყველას მოხვდა გულში ელდათ
ვიშორებთ და არ გვშორდება
ამას ვსტირით მუდამ ერთათ.

მისი ღვაწლი ძნელი ჩამოსათვლელია, როგორც გამოცდილი სოფლის მწერლისა.

გარდა ამისა, ძმაო ეშმაკო' აქ არსებობს ეგრეთ წოდებული „მოქეიფე-კარტოჟნიკთა“ პროფესიონალური კავშირი. წევრებათ უმთავრესათ კეთილ-შობილებსა და სასულიერო პირის ყმაწვილებს იღებენ: იმედია ამათ ღვაწლსაც იქონიებ სახეში და მიხაკოსთან ერთად თითო მათრახის კუდს არ დააკლებ.

გრაფ. კლემანსო.

—

**ნიკორწმინდა.** (რაჭა)

ღმერთმა აკურთხოს, უფალმა,
ცხრაას მეექვსე წელიო,
იძახის მამასახლისი,
მან გამიმაგრა წელიო.
აღთქმა მივეცი სოფელსა:
ქრთამებს ავაღო ხელიო,
მაგრამ სადღაა ერთობა
რომ შემიშალოს ხელიო.
დღესაც ბლომათ მაქვს საკბილო
„გამოსარჩენის“ სახითო,
და საკუჭნაო გავავსე
ინდოურ ქათამ-ბატითო.
ეს გახლავთ მამასახლისი
ჩვენი სარდიონ ბრძენიო
და გთხოვთ გვაწვდინოთ იმისთვის
სპერმაკუდინის წვენიო.
მწერალი ჩვენი თადეოზ
ვაჟკაცათ მოსაწონია,
ღვინოში გალაღებულსა
თავი ბახუსი გონია.
იმისი ღვაწლი სახალხო
ათასჯერ დასაწუნია,
და აშლილობას ნერვისა
უტკბობს ნუნუას სუნია.
ამისთვისაც გთხოვთ ეშმაკო
შენი კუდინის წვეთებსა,
რადგან მათრახი სქელ კანზე
ვერარას გაუკეთებსა.

მ. ბარდანაშვილი.

—

**ჭიათურა.** ცხადია ბევრი საქმეები გექნება, მაგრამ ჩვენს გასაჭირსაც მოხედე, ძმაო ეშმაკო.

უსაშველოა, მათრახით
კვლავ მოგვეშველო აქეთა,
და ისეთ ამბავს გიამბობ
ერთ თვეზე გეყოს საქმეთა.
ლუკა ჯიქიას გაგაცნობ
ძველი ჩარჩია ჩვეული,

ყოფიან ნასტრაჟნიკალსაც
რომ „იმაშობა“ წყეული.
პირველი გიჟებს უფროსობს,
მეორე ეძებს ხვრელებსა,
(მაგრამ თუ ნახა საკბილო,
ხარბათ წასტაცებს ხელებსა.)

**პერევისა.** ჭიათურაზე ახლოა
სოფელი პერევისაო,
აქა ბრძანებლობს ყმაწვილი
აბდულის გვარ მოდგმისაო.
მამასახლისი „იმასქნა“
უჩვენა „იმის“ კარიო,
ალექსი გოგიბერიძეს
დღე გაუთენა მწარიო.
შენ ალბათ იცი, ეშმაკო,
იმისი სახელ-გვარიო.
და თუ ძმა იყო, მათრახი
უცხუნე გადაჰკარიო!

გამვლელი.

—

**ევლახი.** ძმაო ეშმაკო! ამდენმა ლოდინმა ლამის გაგვათავა. მეოთხე თვეა, პროვინციებში სეირნობ და ნუ თუ ჩვენ ერთი „ვიზიტის“ ღირსი არ დავრჩით? მერე რა გინდა სულო და გულო, რომ აქ არ ნახო და იგემო!

ვსთქვათ, ნუნუა მოგეხალისა, ჩვენი ფერშალი აქ არ არის? ისე გაგჟღლენთავს, რომ ერთ კვირეს ვერ გამოფხიზლდე.

კარტის თამაში შაქროსა და მის კრებულს მოჰკითხე, ხოლო ვინიცობაა შაქრო ვერ ნახო, კარტის მოტრფიალე ორი ქართველი აგენტი მაინც ინახულე.

ჭიდაობა თუ მოგინდეს, აქა გვყავს დეპოში ცნობილი „ჩემპიონი“ ისიდორე და იხტუნავეთ რამდენიც გსურდეთ, თუ კი ცირკში ჭიდაობს, შენთან ვერ იჭიდავებს?!.

წამალი თუ დაგჭირდეს, აფთიაქში მხოლოდ 8—10 და 1—2 საათამდე მიდი, თორემ სხვა დროს დაკეტილია.

დრეზინით „კატაობა“ თუ მოგეხალისოს შეუთვალე „კერასინოპროვოდის“ სადგურის გამგეს და მაშინვე გაჩნდება. ანკი შეთვლა რათ უნდა; მუქთა ხელი მუშები ბლომათა ყავს და „კატაობს“ დაუსრულებლათ.

თუ ამათი ნამდვილი მეგობრობა გინდა, არ უნდა გამოტყდე, რომ ეშმაკი ხარ, თორემ ისე მიიმალ-მოიმალებიან, რომ დიოგენის ფანრითაც ვეღარ მოსძებნი. შენ ისარგებლე დროთი და, თუ ძმა ხარ, ერთი ისეთ-ისეთები უცხუნე ყველას, რომ ამ მეორე საუკუნეში აღარ დაავიწყდეთ.

კ. მემანქანე.

—

**გუდაუთი.** გაგეგონება, ძმაო ეშმაკო, რომ „უპატრონო ეკლესიას, ტურა-მგლები დაეპატრონენო“. ჩვენი სამკითხველოს საქმეც სწორედ ასეა. შეხვალ და გაზეთის მაგივრათ სტოლზე შეშები აწყვია. იატაკზე ყრია გაზეთები, მარა სულ შარშანდელი, რადგან ახალ-მოსული ჟურნალ-გაზეთები გამგეებს მიაქვთ საკითხავათ.

ხომ გაგაცანით, ძმობილო,
ე სამკითხველოს გამგენი?
ახლა მოფრინდი და ერთი
ჩაგვიმათრახე აგენი.
და თუ ქნა რამე გავლენა
იმათზე შენმა მათრახმა,
კუდინიც დავალევინოთ
შენ თუ იქნები თანახმა.

მაკრატელი.

—

**სუფსის რაიონი.** ძმაო ეშმაკო! სწორედ გამიჭირეს საქმე სპერმაკუდინის მთხოვნელებმა. რადგან გაიგეს ჩემი თქვენდამი დამოკიდებულება, წერილს წერილზე მიგზავნიან. მეც გაცნობებ და შემდეგ შენს ქველმოქმედებაზე მომინდვია.

**სად. სუფსიდან** მთხოვენ, გვიშუამდგომლე ეშმაკთან, რომ ჩადგეს ჩვენს გასაჭირში და ერთი 60 წვეთი კუდინი უთუოდ გამოგვიგზავნოსო. ნახევარი ოსმან კეჟერ-ოღლისთვის უნდათ, რადგან მან ყალბი ვექსილებით რამოდენიმე პირს სარჩოსაბადებელი გამოაიმასქნა; მეორე ნახევარი კი ირაკლი ჭყონიასათვის, რომელიც ბანკის მამულების ბატონ-პატრონათ მოგვევლინა და ორი მანეთი, „სალექრობო“ შემოიღო (მარტო გასუქებულ ქათმებს აღარ სჯერდება).

იმედია, ძმაო ეშმაკო, ამათ თხოვნას დააკმაყოფილებ.

შენი კასიო.

—

**ოზურგეთიდან.**

შენი ჭირიმე ეშმაკო!
ცოტა დაგვიგდე ყურია,
ოზურგეთს რომ არ ნახულობ,
ყველა ვართ უმადურია.
აქაურ ავან-ჩავანის
მოთხრობაც გასაჭირია,
შევნატრით შენსა მათრახსა,
,,კუდინიც‘‘ ბლომათ გვჭირია.
განა არ იცი, რამდენი
გვყავს უსაქმო და პლუტია?
ზოგს უნდა ,,სპერმაკუდინი‘‘
ზოგსაც მათრახის კუდია.
ზუბრებმა თავი აიშვეს,
ყველა ,,ესფერობს‘‘ მგონია,
იმათი ,,კრება‘‘ ვიხილე
და სწორედ ,,მოსაწონია‘‘.
ყველა იქ ვნახე, არ აკლდა
არცა ქალაქის თავია,
,,ჩირაღდნის‘‘ შემდეგ არ მახსოვს
ასეთი სანახავია.
დაიწყო ჯერე კამათი
,,ესდეკთ‘‘ და ,,ესფერთ‘‘ შორისა
(ქალებიც იყვნენ კონცერტზე
მოტრფიალენი ჭორისა).
უმუშავართა შესახებ
იწყეს ,,ესდეკთა‘‘ მსჯელობა,

რომ ამ საქმისთვის, რიგია
ზრუნავდეს თვითმართველობა.

ამაზე გასწყრენ ზუბრები,
კამათი გახდა რთულია
,,ჭეშმარიტ ქართველთ'' ფარ-ხმალი
საომრათ მომართულია.

ზუბრებმა შექნეს ბღავილი
სხვებმაც ასწიეს ხმაია,
განუწყვეტელათ ჰიხვინებს
ჩვენი ქალაქის თავია.

მას აყვენ ამყოლ-დამყოლნი:
ანიჩკა გორგასლიძისა,
ლეო ვასილის ასული
და თეო ნაკაშიძისა.

უკუ აქციეს ,,ესდეკი''
საჯაყი საქმე წაჰკიდეს,
(ვინ იცის იქნებ შემდგომათ
სტრაჟებიც გამოაკიდეს).

შემდეგ სულ ,,ბღღვირი ადინეს''
სოციალ-დემოკრატიას,
ულმერთოდ ლანძღეს, ვინც უგრძნობს
ასეთ საშიშარ პარტიას.

ახლა შენ იცი ძმობილო,
თუ როგორ განსჯი ამათა
და რეაქციის სამსახურს
ამოანკალებ შხამათა.

ჰაჯი.

—

**სად. სამტრედია.** დარდისა და ნაღვლისაგან აღარ ვიცი რა მოგწერო, ძმაო ეშმაკო. რა ღვთის წყრომაა მართლა, რომ ერთი კარგი ამხანაგი აქ აღარ იცდის? ზოგი გურიაში მიდის,—ხალხი უნდა დავამშვიდოვო, ზოგი სამეგრელოსკენ მიიწევს,—იქ კარგი გამოსარჩენიაო; ზოგიც საუკუნოთ გვტოვებს და იქით მიიგრავნება საიდანაც ჯერ არავინ დაბრუნებულა.

ბ-ნი ჩოჩიას დაკარგვამ დიდი მწუხარება და ვაი-ვაი გამოიწვია ჩვენში, მაგრამ უფრო მეტი „ვაი, ვაის“ მოლოდინი მაქვს. საქმე იმაშია, ძმაო, რომ ყველა პომოშნიკს უნდა განთავისუფლებულ ადგილზე ჩავარდნა და ჯახი მოსდით. როცა საქმე გამწვავდა, მთხოვეს შენთან ვიშუამდგომლო, რომ გამოუგზავნო მათ ერთი ვინმე გარეშე კაცი, მაგრამ გააფრთხილე, რომ პირობები ასეთია: 1) თითო ცალ მოპარულ შპალზე მიეცემა 1 მ. 47 კ. 2) თითო ბოჭკა მოიმასქნილ ცემენტზე 6 ქანქარი; 3) თითო ძველი მუშის დათხოვნაზე 15 ქანქარი. 4) თითო მუშის „გასტარშებაზე“ მიეცემა 30 ქანქარი. და 5) ყოველივე ზემო აღნიშნულს გარდა თვიურათ 50 ქანქარი.

ისე რავა წახდება ქვეყანა, რომ ვინმე არ გამოჩნდეს მსურველი და თანხმობა არ განაცხადოს. აქაური სტარშები კატეგორიულ უარზე დგანან.

ჩორ—

—

**სოფ. ეწერი.** მელიტო და მიხაკო გვარიანათ ჯრიან. ამას წინათ ვიღაც მონადირეს „ნეჩაიანათ“ თოფი გაუვარდა. მიხაკომ ყურები ცქვიტა და დადევნა, მაგრამ მსროლელი მიიმალა. საჭირო იყო საქმის ჩაფუჩეჩება და ოცდაათი ქანქარი მიიმასქნა, რაიცა სავსებით აღსრულებულ იქნა.

—თიკ.

—

**დაბა სამტრედია.** მოატანა თუ არა, ძმაო ეშმაკო, სამტრედიის „გაპოსადების“ ამბავმა, ადგილობრივი მოქალაქენი დიდს ფაცი-ფუცში არიან: ქუჩებს კირწყლავენ, საყასბო შუა ბაზარში გადმოაქვთ, პროგიმნაზიას აღებენ და სხვა მრავალი.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის ვერ გამოარკვიეს თუ ვინ უნდა აირჩიონ ქალაქის მამათ. ნიშანში ჯერ-ჯერობით მხოლოთ მოსე სტურუა, ივანე პაპავა და შოშიაშვილი ყავთ ამოღებული (ბევრს რომ ყვირის).

მოსე სტურუას, როგორც გავიგე, პეტერბურგში გზავნიან საფუთო გადასახადის (ნახევარი კაპ.) ჩამოსატანათ ისე, როგორც ნიკოლაძემ ჩამოიტანა. აგზავნიან აგრეთვე ივანე პაპავას ქალაქ ოზურგეთში იქაურ ქალაქის მოურავ ვ. ხუნდაძესთან საქალაქო მეურნეობის შესასწავლათ. ერთი სიტყვით ნამდვილი გამოცოცხლებაა.

ჩორთიკ.

—

**ბაქო.** ძმაო ეშმაკო! ძალიან კარგს იზამ შენი ყურადღების ღირსი გაგვხადო და ერთ თავისუფალ დღეს ჩვენკენაც შემოიარო ბალახანის შოსსეზე მიშა კაკაურიძეს პირველ რკინის გზის ბუფეტში. უწინარეს ყოვლისა უნდა გაგაფრთხილო, რომ საჭიროა ბლომათ იქონიო შენი ,,კუდინი'' და აგრეთვე კარგი მაგარი მათრახი, ვინაიდან რაც უნდა სულ-გრძელობა გამოიჩინო, გული არ მოგითმენს რიგიანათ არ მოსცხო, მუდამ დღე და ყოველ ჟამს ამ ბუფეტში თავ-მოყრილ რკინის გზის მოსამსახურეებს. უწინდელმა ,,შეგნებულმა ამხანაგებმა'' სწორეთ ბუდეთ გადააქციეს ეს ბუფეტი. თვით ბ-ნი ხაზეინი რომ ვერ ასდის მუშტარს, ბილიარდი, ლოტო, დომინო და ამგვარები არენდით ჩვენ შეგნებულ ამხანაგებს გადასცა. მერწმუნე ძმაო, რომ უმთავრესი სულის ჩამდგმელები ბილიარდის და ლოტოს თამაშისა ჩვენი ამხანაგები ფ. და გ. ბრძანდებიან, ამიტომ არც გასაკვირველია, თუ ამოდენა ხალხი იყრის თავს, ხუმრობა ხომ არ არის, ,,შეგნებულები'' სდგანან სათავეში.

სამაგიეროთ ბუფეტის მუდმივი სტუმრები ისე გაურბიან ჭკუის განმანათლებელ ალაგებს, როგორც ურიი ღორის ხორცს თუნდ ავიღოთ რკინის გზის სამკითხველო; ქუდი რომ შეუგდოთ, გამოსატანათ არავინ შევა. ამიტომ მუხლ-მოდრეკით გთხოვ ჩქარა მოგვაშველო შენი ,,კუდინი'' და მათრახი, თორემ გვიან იქნება. ბუფეტში შესვლისთანავე თვით მიშა კაკაურიძეს მიართვი ხუთი წვეთი კუდინი, როგორც ხაზეინს. ამხანაგ ფ. და გ. ცოტა უნდა მოუმატო, როგორც ,,შეგნებულ ამხანაგებს'' და კიდევ როგორც ბილიარდის ,,არენდატორებს“. ამათთვის არც მათრახის კუდი იქნება ურიგო საჩუქარი. აქედან კოტე ხოხობო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის „რესტორანშიაც“ შეიარე; იქაც იმავე სურათს ნახავ, იმ განსხვავებით, რომ კარტის თამაშს უფრო მეტი გასავალი აქვს, რასაც თვით ხაზეინი უწყობს ხელს. ჩემის აზრით აქ დოზა ხაზეინს უნდა მოუმატო ასე ოცდა ხუთ წვეთამდე. გემუდარები რაც შეიძლება ჩქარა მოგვაშველო შენი კუდინი, თორემ შემდეგ დაგვიანებული იქნება.

შენი ნორდი.

—

**სიღნაღი.** ძმაო ეშმაკო, დიდ არს ძლიერება მათრახისა შენისა და სასწაულ-მოქმედებასა მისსა არ აქვს საზღვარი. რახან შენი კურთხეული მათრახის კუდი მოხვდა ჩვენ უუუპილწეს მოძღვარ ბარნაბოვს, მას აქეთ აუტყდა ერთი საშინელი პირსაქმება და დღევანდლამდის ვერ მოუსვენია. ლამის არის მთელი თავისი შინაგანი სულიერი სიწმინდე მთლათ წამოალაგოს ნიშადურის გვერდების შესავსებლათ. თუ მე არ დამიჯერებ გადაფურცლე გუნიას „ნიშადურის“ 29 ნომერი, ბოლო გვერდზე შეამჩნევთ, ჩვენი წვერცამეტა ხუცის ნასაქმებს. ექიმმა გასინჯა და შემდეგი რეცეპტი გამოუწერა:

სპერმაკუდინი — — 29,7 წვეთი
მათრახის კუდი— — 17 ცალი.

მოსულოვმა რეცეპტი უკან დააბრუნა, რადგან ამისთანა წამლები არა მაქვსო. მე დავპირდი ეშმაკის ლაბორატორიიდან გამოგიწერ მეთქი. აბა შენ იცი ეშმაკო, თუ არ მოიძულებ ჩვენ წმინდა მოჩლვარს და შენ მიერ შემზადებულ წამალს გამოუგზავნი.

ტაბლებზე გასუქებულსა
ჩვენში არ უჩანს ცალია,
ეშმაკო, მსუქან ადგილზე
დასდე მათრახის კვალია.
მისთვის მარტოკა მათრახი
აბა რა დასაკვეთია
თუ არ იგემა როდისმე
სპერმაკუდინის წვეთია.
ხუცესს აყლაპე აბები
ახტუნე მამა ქებული,
ვერ ატოკებდეს ენასა
ტაბლებზე გასუქებული.

ჰო იმას მოგახსენებდი, ეშმაკო, ჩვენ წვერცამეტას, რაც კი შერჩენია შენი მათრახის შემდეგ, იი მყრალ ჭურჭელში, სულ წამოუშლია „ნიშადურის“ ფურცელზე. ქართულ-რუსული რომ გადაულექნია ახლა უცხო ენებსაც იშველიებს, მაგრამ ამისთანა სოფისტიკები ხიდ-ქვეშ.

მეწყინე.

—

**ქვიტირიდან.**

ხალხით სავსეა კანცელარია
ვინ ფხიზელია და ვინ მთვრალია,
აქვე გაჰყვირის ანტონა „დოში“,
რომ მან სვას ღვინო, სხვამ მისცეს გროში.
მწერალს კი ბრაზი მოდის, ჯავრდება.
უცდის ტარასის, ის აღარ ჩნდება.
„ნეტავ სად არის მამასახლისი,
ვერ გამიგია ვერა-რა მისი,
რატომ არ მოდის, რას უცდის სახლში,
რათ არ ერევა „ამნაირ“ ხალხში.
აქ „პასპორტები„ მზათ არის ყველა
და ამ დროს უნდა, პავლე-ჯან, შველა:
წადი, უთხარი, ნუ იგვიანებს,
თუ სურს მოუსწროს აქ ფულიანებს,
მან ეს არ იცის, ვინ რას გვპირდება
რაც უეჭველად აგვისრულდება,
უთხარი, ადგეს, მოვიდეს ჩქარა,
ცხრა საათია, ძილიც კი კმარა“,
ხალხი ფეხზე სდგას,
არვინ იღებს ხმა.
შემოდის დინჯათ მამასახლისი,
თან ხელით მოაქვს „ტოპრიკა“ მისი,
რომ დღეს აავსოს იგი ფულებით
და გაიმდიდროს თავი სრულებით.
აგერ შეუდგა შრომას მშრომელი
და ფულებს კრეფავს გაუძღომელი...
მწერალი, ბიძა მამასახლისი
შემპრალებელნი მხოლოდ თავისი
ფულებს იღებენ,
ჯიბეს ივსებენ,
გაჰკრეს, გაუსვეს შრომასა ხელი,
რომ მუდამ ქონდესთ მათ ჯიბე სქელი.
აგერ შეხედეთ მეორე მწერალს,
სხვისა ჰანგებზე ტკპილათა მღერალს,
რომელიც მუდამ რაღაცას ჩხაზავს
და შრომით მისით ჩვენს სამსონს პაძავს.
გახარებული არის ორხივე:
სამსონ, ტარასი და „ფილიპიჩი“
ევგენი... ანტონ, რადგან თვრებიან
და არ აკლდებათ მათ მაყარიჩი.
—ეგება კიდევ ემდურით ბედსა
და თქვენ თხოულობთ ამაზე მეტსა?—
ეშმაკს მოვიწვევ მათრახიანათ,
რომ მოგცხოთ ყველს ლაზათიანათ,
და მაშინ თქვენი კმაყოფილება,
ვგონებ უსაზღვრო რამე იქნება.

უკუდო ეშმაკი.

—

**სურამი.** ძმაო ეშმაკო! ნუ თუ არ მოგეხალისა სურამში „პიკნიკზე“ ჩამოსვლა? ყოველ-საღამოს იმართება თითო წვეულება კარტას-თამაშ-ლოთობა-არშიყობა-ლაზღანდარობით და საჭირო იყო მისი მოწესრიგება. ვაგზალზე თუ მოგიცდა ფეხი, მერმე აქაურმა ბარიშნებმა იციან როგორც უნდა შენი გამოიმასპნა. უწინარეს ყოვლისა მოგაყუდებენ გულზე გრძელ სიას და ძალა უნებურათ ხელი უნდა მოაწერო. ნაცნობი უცნობი სულ ერთია.

შემდეგ გაგიტაცებენ საპიკნიკე სახლში და იქ უნდა ნახო ჯიბისა შენისა განსაცდელი. ბუფეტში დაგიხვდება ეფიროვანი არსება და ტკბილი ღიმილით შაურიან ბუბლიკს მანეთათ გაგისაღებს. ეს ისე ხელოვნურათ იციან ჩვენმა მოპიკნიკე ბარიშნებმა, რომ ვერც კი შეიტყობ. აქვე დაგხვდება მიხაილოვიდან ჩამოსული ახალგაზრდათა ჯგუფი, რო-

მლებიც პირველ ყოფილი მუზიკალური ჰანგებით სმენას დაგიტკბობენ.

ჩვენ შენი სრული იმედი გვაქვს, რომ ვერა შემთხვევაში ვერ გაცდუნებ და როცა ასეთ თვალთ-მაქცობას ნახავ იძვრე ეგ შენი გრძელი მათრახი „მოპიკნიკეთა“ გვერდების ასახურებლათ. დამერ-წმუნე სურამში ბევრი არ დარჩება შენი უმადური თუ ჩვენ ბარიშნებს ამ ზნეს გადააჩვევ.

მგზავრი.



## ორი ეშმაკი.

(რეცენზია).

პირველი. იყავი, ძმაო, „დამარცხებულზე“?
მეორე. გახლდი, თუმცალა სუსტათ ვარ ფულზე,
და თანაც უნდა გითხრა კეთილო
კინაღამ გავსკდი ჯავრისგან გულზე.
პირველი. მიკვირს... რა იყო იქ დასაღონი?
როგორც შესწევდათ ძალი და ღონი,
არტისტებს ხელი თამაშისათვის
არ დაუკლიათ იმ ღამეს მგონი.
მეორე. სჩანს შენ, ძმავ, ეჭვიც არ შეგაქვს მასში,
რომ კარგი იყო იმ დღეს თამაში,
მაგრამ ნუ თუ ეს სამართალია
კომიკს ალაგი ჰქონდეს დრამაში?
პირველი. მაშ ბალდანიძე არ მოგეწონა?
მეორე. არც ის და არცა მისი გოგონა,
ქეთო რომ ერქვა და პრანჭვა-გრეხით
კინაღამ გული გადამიღონა.
პირველი. რას ამბობ კაცო? კარგარეთელი?
მეორე. კარგათ არ მახსოვს მისი სახელი,
მაგრამ ღმერთს ვფიცავ, ასეთ როლებზე
უმჯობესია აიღოს ხელი.
პირველი. იცი რა გითხრა? დასაწუნია
რომ მიკერძების უდის სუნია,
და ეჭვის სრულად გასაფანტავათ
გკითხავ: როგორი იყო გუნია?
მეორე. მე მიკვირს, ძმაო, ეს უნდობლობა!
როდის შემწამე ცრუ მეზობლობა?
მე მუდამ ვძრახავ, თუ რომ მოხელეს
არ გაეგება მისი ხელობა.
გუნიას ჰქონდა ჟანდარმის როლი
სჩანს ნიჭიც შესძლებს საქმის გამყოლი...
და მართალია ვემდური, მაგრამ
იმ დღეს არ ყავდა სცენაზე ტოლი.
როცა მუშათა „ბუნტს“ განქექავდა
პუბლიკა ნამდვილ ჟანდარმს ხედავდა,
და გული ჩემი: „თეატრში ვარო“
ამის გამხელას ვერც-კი ბედავდა.
პირველი. აი რას ნიშნავს „ღვთიური ნიჭი?“
არც პირველია მისგან ეს ბიჯი,
და როგორც მწერალს გაჟანდარმებულს
არ დაერქმევა ურიგო ბიჭი.
მეორე. მეც ამისათვის არ მოვიწონე
რომ ჟანდარმობის შესწევდა ღონე?
და შენ ეს ჩემი მიდგომ-მოდგომა
არ ვიცი სიდან გამოიგონე?!

---

## ამონაკვნესი.

გაზაფხულდა, კაშკაშა მზემ
შეკრა სხივთა თაიგული,
მთა-ბარს უძღვნა და გაათბო
ზამთრისაგან გაყინული!
და ბუნებაც მსწრაფლ აფეთქდა.
სასიცოცხლო იგრძნო ძალა,
ათას ფერათ აფერადდა,
გაიფურჩქნა, გაიშალა!
სიხარული დაჯდა ტახტზე,
ჩანგათ იქცა თვით სამყარო:
აქ შაშვი სტვენს, იქ—ბულბული...
ხმა გაისმის სანეტარო!
მაგრამ მე კვლავ სევდა მიპყრობს,
ვერ მახარებს გაზაფხული,
შავ ფიქრთ ზღვაში მიმოვცურავ,
მემატება წყლულზე წყლული.
იმიტომ, რომ ჩემი სატრფო
მტარვალებს ყავთ ისევ ხელში,
და ტანჯავენ, აწამებენ,
თოკს უჭერენ მაგრათ ყელში!

ვ. ჩახრუხაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული სცენა.

## ს ც ე ნ ა.

ლ. მესხიშვილი.
,,საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს'',
ამბობს ქართული გონება,
მეც გავშორდები ამ კრებულს
ცოტა გულ მოეფონება.

ნ. ჩხეიძე. წასვლა სჯობს წარმავალისა,
არ დაყოვნება ხანისა
მეც გავშორდები, არ ძალმიძს
გატანა გაუტანისა.

ვ. გუნია. (ნიკო თავდგირიძის კილოზე)
აბა დელი დელია, დელია,
ახლა სცენა ჩვენია, ჩვენია.

ხორო. აბა დელი დელია, დელია,
თქვენი წასვლა დიდათ არა გვწყენია.

---

*
* *

(ვუძღვნი კუპისტებს)

შავი ფიქრები გულს ღრღნიან მწარად,
სიცოცხლე მიჩანს თითქმის აღარად,
მარა ჯერ მაინც, სანამ ცოცხალვარ,
კუჩო შენ გეტრფი „მარად და მარად“.

მაძღართა ხროვა დამცინის თავსა:
„სულელო კუჩი რატომ გიყვარსო,
შენ ხომ შრომა გხვდა „ტურფა ედემში“
და შენც იშრომე სხვას ვინ გკითხავსო“.

მარა მე მაინც ვერ დავივიწყებ,
ბუნების შვილთა იმ იდეალსა,
რაც რომ საზომი არის ყოველის,
რაც აღფრთოვანებს კაცსა თუ ქალსა.

ხომ გახსოვს კუჩო, ხშირათ რომ შენთვის,
ქარხნის ეზოში მე ჯანს ვტოვებდი?
ორი შაურის მომატებისთვის,
მტერთან ბრძოლაში რომ გამოვედი?

შენ ისიც გახსოვს, ძლიერო კუჩო,
„უკუჩოებმა“ რით გვიპასუხა,
რამდენს მოუსპეს მაშინ სიცოცხლე,
რამდენს შიმშილით კუჩი გაუხმა!

ბევრი სიყვარულს ქადაგობს, კუჩო,
მაღალ გრძნობებზე ლაპარაკობენ,
მაგრამ ძილშიაც შენ ელანდები,
თუმცა შენ სახელს არც კი ხმარობენ.

მერწმუნე კუჩო, „უკუჩოები“
ხშირათ ამაზე მეტსაც შვრებიან;
და მათი კუჩის გამოსავსებათ
მრავალნი კუჩნი მსხვერპლათ ხდებიან.

მტრობა, ღალატი, კუჭისთვის არის,
იუდებს ვერცხლი კუჭისთვის უნდა,
კუჭის საგითხი იყო ყოველგან,
თოფ-ზარბაზანი სადაც კი ქუხდა.
„კუჭუჭოთ“ თავი კუჭისთვის მოაქვთ,
სხვებს „კუჭისტებათ“ მისთვის ხათლავენ,
რომ სავსე იყოს სულ მათი კუჭი,
თეთრ კბილს აჩენენ, შავ გულს მალავენ.
ხშირათ მშიერო შენ ჩემო კუჭო,
თუმცა მეც შენთვის მუდამ ვზრუნავდი,
ჩემი მარჯვენი რასაც შესძლებდა,
შენ ხარჯსაც მხოლოდ იმათ ვხურავდი.
არ მომიპარავს, არვინ მომიკლავს,
ღალატი გულში არ გამივლია,
სხვისი ნაშრომით, ნაძარცვ-ნაგლეჯით
მე ჩემი კუჭი არ გამივსია.
ბევრი თუ კუჭო მასთვის ცოცხლობენ,
მხოლოდ და მხოლოდ კუჭი გაავსონ,
ჩვენაც ვიცოცხლოთ, მარა მიზანი,
ჭამა-სმას გარდა, სხვაც დავისახოთ.
მაშ ასე კუჭო, ნუ შეგვშინდებით,
მე შენთვის ვზრუნავ, შენაც იშრომე,
როცა დამჭირდეს კვლავ მომაწოდე
მტერთან ბრძოლისთვის ძალა და ღონე.

„კუჭიტი“ ი. ც.



## მოქალაქის ფიქრები.

ჩემისთანა ბედნიერი
არა ვგონებ ვინმე იყოს!!
დღევანდელმა პირობებმა
უკეთესი რაღა მიყოს?!
— წინ წავალ და შუბი მხვდება,
მარჯვნით წავალ,—სახრჩობელა,
მარცხნივ ტყვია, თოფის დუმა,
უკან წავალ— ერთათ ყველა.
შავზე ჩავდგე, არ გავინძრე,
დავიკრიფო გულზე ხელი,
სულ ერთია, არ ამცდება
მე შიმშილით სატანჯველი.
ამოდენი სიხარულით
გული ლამის შვას გაიყოს,
ჩემისთანა ბედნიერი
არა ვგონებ ვინმე იყოს!..

**დახჩირი.**

## კავკასის ნამესტნიკის

გრაფ ილარიონ ივანესძე ვორანცოვ-დაშკოვის
50 წლის იუბილეი.

25 მარტს მთელმა კავკასიამ იდღესასწაულა ნამესტნიკის ილარიონ ივანეს-ძე ვორანცოვ-დაშკოვის აფიცრობის ორმოც და ათი წლის თავი. ჯერ-კიდევ 24 მარტს ჩამოვიდენ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებიდან დეპუტაციები ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილნი. უმთავრესათ იყვენ კეთილ-შობილთა და ქალაქთა წარმომადგენელნი.

25 მარტი თფილისში ძლიერ ქარიანი დღე იყო, მაგრამ მაინც ბევრი ხალხი გამოწვა ქუჩაში, უმთავრესათ სასახლის წინ.

სასიამოვნო სანახავი იყო, როდესაც სასახლის აივანზე გამოსულ ნამესტნიკს თფილისის საზოგადოება აღტაცებით მიეგება და ქუჩებიდან „ურას“ გრიალით მთელი უბანი აახმაურეს. ასეთი დიდებული სურათი უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოცხადებისა კარგა ხანია არ უნახავს ჩვენი ქალაქის ქუჩებს.

26 მარტს კავკასიის ნამესტნიკმა გოლოვინის პროსპექტზე დაათვალიერა თფილისის გარნიზონის სხვა და სხვა ნაწილები. ქუჩა ჯარებით იყო გაჭედილი და თითქმის სამი საათის განმავლობაში ტრამვაის მსვლელობა შეჩერებულ იქმნა.

გაზეთების ცნობით, დღესასწაულის აღსანიშნავათ ნამესტნიკის განკარგულებით თფილისის საგუბერნიო ციხიდან გაანთავისუფლეს შვიდი ადმინისტრატიული ტუსაღი. აგრეთვე ამავე დღესასწაულის აღსანიშნავათ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს გაუნთავისუფლებია ყველა ის ადმინისტრატიული დამნაშავენი, რომელთაც დანაშაული მარტის 25-მდე ჩაუდენიათ.

## „კურმუხეთი“.

(ძველის ძველად ეგრისი).

ტარტაროზის ჩვენის მიერ
ძმაო, ეშმაკ, გენაცვალე!
ლექსად წყობილ ამ ბარათით
აი, რა შემოგითვალე:

ერთ კუნჭულში სამყაროზე
არის კუთხე—„კურმუხეთი“.
მოვლა მისი არ იფიქრო,
არ გაგიწყრეს, ძმაო, ღმერთი!

ჯერ არის და გზის სიძნელე,
მერმე „დარაჯო უხუცესი“,
ახალია, მაგრამ არ არს
ჯოჯოხეთშიც უარესი!

ქიათურა, ქუთაისი...
შენც კი იცნობ, ძმაო, პირშავს!
სანთლით სძებნო,—ვერ იპოვნი
დუნიაზე მისებრ „პრისთავს“!
ბოლოს კიდევ აბრაგები!
თვალში ბეწვს ამოგაცლიან,
და ვაი თუ არ გაქვს რამე,
ორივ ყურებს დაგათლიან!
ამ ბოლო ხანს ვაჟბატონებს
დასჩვევია ეს ადათი,
და თავს რისხვად თვით დაატყდათ
გამხელილი ცოდვა მათი
აქ სხვა მრავალ სიბნელესთან
ხალხს ადათათ შერჩენია:
მკვდარს ალაპით გაისტუმრებს,
ფიქრობს,—გამოსარჩენია!..
„წასაბურავს“ ეძახიან
ბოლოს სდგება კაი თანხა,
მაგრამ ვაი ქირისუფალს,
თუ კარგათ არ შეინახა!
უექველათ ნაალაპევს
მას აბრაგი ესტუმრება...
(ზოგი ქირი თუმცა...) უწყი,
ამის შემდეგ რაც მოხდება!...
დიახ, ერთხელ... ორხელ... სამხელ...
უბრმავებდენ სოფელს თვალსა,
მაგრამ „მუდამ,“ როგორც იცი,
„არ მოიტანს კოკა წყალსა!“
აქაც სწორეთ ასე მოხდა:
მეოთხეჯერ-უდარაჯეს,
და აბრაგი... ვაი სირცხვილს!
„ქურდი მთხლეზე არ გაქაჩეს!...
თუმც „სტრაჟებმა“ ბევრი სცემეს
იმათ მათრახების კუდი,
მაგრამ, შენც რომ გადაკრავდე,
არ იქნება. ძმაო, ცუდი!

**ონისიმე**



## შ ე კ ი თ ხ ვ ე ბ ი

(დიდი-ჯიხაიშიდან).

მოეხსენება თუ არა „ეშმაკს“, რომ დიდი-ჯიხაიშის ორკლასიან ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველმა ილია ბეჟანის ძე წერეთელმა სამას მანეთამდე სკოლის ფულები ქე იმასქნა! მასწავლებლები უჯამაგიროთ დაყარა და სკოლის შენობები დაუხურავი დატოვა. მოეხსენება ისიც თუ არა, რომ იმავე „პედაგოგმა“ თავის საქმეების გამოსასწორებლათ, გამოუცხადა ოცდა ხუთამდე თავის მოსწავლეს:—თუ თქვენ „რეპეტიტორი“ არ აიყვანეთ, უთუოდ დარჩებით, „რეპეტიტორობას“ მე გაგიწევთ და თითო თუმნის მეტს არ ავიღებ მაისამდეო. თუმცადა ზოგი მათგანი „რეპეტიტორს“ სრულებით არ საჭიროებს, მარა არჩეული მოსწავლეების მშობლები ასე თუ ისე მოახერხებენ თითო თუმნის გადახდას! მოეხსენება ისიც თუ არა, რომ ეს ღირსშესანიშნავი მსხვილი გვამი ხშირად თითო კვირაობით სადღაც დარბის და სამოცი მოსწავლე კი ღვთის ანაბარა ყავს მიტოვებული! მოეხსენება ისიც თუ არა, რომ კერძო მევალეები ბ. წერეთელს (ენკენისთვეში მობრძანებულია) ხშირად გამოუძახებენ კლასიდან გაკვეთილების დროს და აცდენენ ისედაც მომცდარ ბავშვებს! და თუ უწყის ეს მოეხსენება, რა ზომების მიღებას აპირებს ამ ,,დიდვალ-პესტალოცის‘‘ შესახურებლად?

—

მოეხსენება თუ არა იმავე „ეშმაკს“, რომ იმავე სკოლის მასწავლებელი გრიგორი ბახტაძე ხშირად გაკვეთილების დროს ბაზარში დასეირნობს და ხანგამოშვებით, როდესაც „პერეუტომლენიეს“ გრძნობს, მოსწავლეებს ცემა-ლანძღვა-გინებით უმასპინძლდება! თუ მოეხსენება ეს, რა ზომების მიღებას აპირებს ამ მოხუც „პედაგოგის“ წინააღმდეგ?

„გადავარდნილი“.

—

**პასუხი ეშმაკისა.** პირველი პარაგრაფი შეკითხვისა, შესახებ სამასი ქანქარის გადაიმასქნისა სავსებით ექვემდებარება ჩემ მიერ შემოღებულ განსაკუთრებულ წესების მე-17 მუხლს, რომელიც პირველ ყოვლისა აღნიშნულ დანაშაულობისათვის საჭიროთ სცნობს მათრახის კუდს ხუთიდან ვიდრე ათამდე და სპერმაკუდინის წვეთებს არა ნაკლებ 37-ისა.

თუ ვინიცობაა აღნიშნულმა საშვალებამ არ გასჭრას, წინადადებას ვაძლევ ქუთაისის რევიზორ-ეშმაკს, ბატონი ზედამხედველის მიმართ იხმაროს ის ნაცადი საშვალება, რომლითაც ფრიად განვითარებულმა თელავის კერძო საქალებო სკოლის გამგე, მასწავლებელმა ქალმა დაამტკიცა მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე, კერძო საკუთრების მითვისების მავნებლობა. (იხილე „დასაწყისი“ № 16. ახალი ამბები თელავიდან).

დანარჩენი პარაგრაფები შეკითხვისა გადაეცა განსახილველათ საგანგებო კომისიას.







### მესტვირული.

აქ მოდი ჩემო ქამანჩავ,
დავალიღინოთ ტკბილათა:
რა იქნა **კენტის** ლექსები
წერა რომ უყვარს წვრილათა,
უწინ ხომ მალ-მალ გზავნიდა,
დღეს გახდა უცხო ხილათა;
ნუ თუ მოდუნდა სიმები,
სხივი რო მოხდა თფილათა?!
**ბლიკვაძეს** რაღა შევკადროთ
ბალიში აკრავს მხრებზედა,
ჩვენი „მათრახის“ წყალობით
ჯერ მდიდრათ არის მტრებზედა.
ბობოლებს ამათრახ-კუდებს,
წერა არ უყვარს სხვებზედა...
დღეს ალბათ გასაჭირშია
რომ ძუნწობს მასალებზედა.
**რევიზორ-ეშმაკს** ყველაზე
მეტი სჭირია მხილება,
არც მასალები აკლია,
არც საქმის გამოცდილება,
საჭირო არის მხოლოდღა
მცირედი განქექილება,
და მიკვირს ორი ნომერი
თუ რატომ გაეწბილება.

**პიტნა** სრულიად შემოგვწყრა
აღარ გვიწერავს სცენებსა,
ცხადია ბევრი იშრომა
და ახლა განისვენებსა.
**შხანკოლაც** გაკვრა გამოკვრით
მოგვმართავს, გაგვიხსენებსა,
მაგრამ ჯერ მაინც ნუ ვიტყვით
ამათზე განაჩენებსა.
**ზომლეთელს** არა ეთქმება
ჯერ სამდურავი ჩვენგანა,
ასეთი უხვი ეშმაკი
ნეტავი მოგვცა ყველგანა,
ლექსებს მოგვაწვდის სევდიანს
შექსოვილს ნაღველ-ცრემლგანა,
მაგრამ სახუმროც რო გვითხრას
დავემდურებით ჩვენ განა???
აგრეთვე **მალაქიაშვილს**
ეკურთხოს კალმის წვერები,
ჯერ კი ვართ მისგან საკმაოთ
მასალით შენაჯერები.
ძრახვა მსურს **ჩახრუხაძისა**
და არცა მოვეფერები
ვკითხავ: რათ ძვირობს, ძმობილო
ეგ შენი მონაწერები???
იქნებ, ვინ იცის ქამანჩავ,
ვცდებით ამ ლექსთა წერითა,
ყველანი სტოლებს უსხედან
კალმებით მონაღერითა,
აზრებით აღტყინებულნი
მუნ ზეცით მონაბერითა,
რომ **საალდგომოთ** შეგვამკონ
ლექსებით მშვენივრებითა.

**ეშმაკი.**



### მწარე მოგონება.

(ვუძღვნი ვარლამ მელაძის ხსოვნას).

მახსოვს... იყო გაზაფხული, ბიბინებდა ია ვარდი,
ბუნება ლურჯ კაბას შლიდა, შორდებოდა გულს წლულ-დარდი.

არე მარეს გაღვიძებულს დაჰკვნესოდა თავს ბულბული,
კიდით კიდე ხმას აწვდიდა განახლების მოციქული.

შრომის დროშას წითლათ ქარგულს უბერავდა ნელი ქარი
და გულ წარმტაც ნანას ჟღერდა მაშვრალთ ხელით ტკბილი ქნარი.

მახსოვს... იყო გაზაფხული: ტახტს იდგამდა ქვეყნათ ლხენა,
თავისუფლად მოქმედებდა მრავალ ტანჯულთ აზრი, ენა.
ქვეყნის მეჯლისს, აღმაფრენას, ჩემი გულიც ბანს აძლევდა
გადისროდა თუ რამ ახლდა შავბნელ დროის დარდი, სევდა...
დღეს კი რაა? რაღას ვხედავ? ვითომ დგება გაზაფხული?
არა! ეს რომ აგრე იყოს კვლავ იგრძნობდა ჩემი გული!
ისიც შვებას განიცდიდა, როს ცოცხლდება გარს ტყე-ველი,
დაიწოდა აღტაცებით, ვით ხატის წინ საკმეველი.
მაგრამ დღეს რა გაახარებს? საკანი თუ სახრჩობელა?
ბორკილები? ან თუ ის რომ დღე და დამე ცრემლს ღვრის ყველა?
ვინ მოუვება გულით სიცილს, როცა ცრემლს ღვრის კიდით კიდე?
როცა ტანჯულ მშრომელ მაჯას ჰირს ახურავს შავი რიდე?
არა! ეს მას როგორ შეფერს ცრემლით გაზრდილს, ნავალალებს!
მერმე როგორ დაინახავს მშრომელ დედის მტირალ თვალებს?!
ვინ შეაშრობს ტანჯულ ცრემლებს, ჩაუნერგავს გულში იმედს?
ვინღა ეტყვის; დედი! ნუ სტირ, მოელოდე უკეთეს ბედს?
არა, ჩემი ია ვარდი არ იშლება, ჯერ არ ყვავის!
რო ვმღეროდე უდარდელათ არც ეგონოს ეს არავის!
მშხამავს კიდეც მე ბუნების უზრუნველი სიხარული,
როცა მკაცრად მის წიაღში ესერება მშრომელს გული.
რათ იშლები იავარდო? რათ ყვავდები მინდორ-ველო?
შენ რათ მღერი დღეს ბულბულო ძველებურათ უზრუნველო?
რათ არ ჩაქსოვ შენს ჰანგებში ერის ტანჯვას, სისხლთა დენას?
ვერა ხედავ, მუდამ ლაღო, რომ აჩრიან მაშვრალს ენას?
თუ არ ძალგიძს სხვაფრივ კვნესა, ხმა ჩაკმინდე, ნუ იმღერი!
ვის უნახავს შენებრ ლხენა, როს შავშია მთელი ერი?!
მანამ სდუმდე, სანამ შავს ცას არ მოშორდეს ეს ღრუბელი!
მაშინ კი ერთად შევსძახოთ ეს წმინდა საგალობელი!

ვ. მალაქიაშვილი



## საპყრობილეს.

გაშლილ მიდამოს დიდ-ხნით ვშორდები,
შავი სუდარა მიმიძღვის წინა,
შენს ბნელს სამეფოს ვუახლოვდები,
შენს სამყაროში მომცეს მე ბინა.
გამხიარულდი, ტანჯვის სამეფოვ,
ააყდარუნე რკინის ბორკილი,
თქვენც გაიხარეთ, შავო კედლებო,
მოდის, ჰა სტანჯეთ სიმართლის შვილი...
სხივებს ნუ მაფრქვევ, მზეო ცხოველო,
სინათლევ ნუდა მეალერსები,
ცრემლებს ნუ აფრქვევ დედავ მშობელო,
მით ტანჯვას უფრო გავუმკლავდები...
ტანჯვა-ხვედრია ყველა მებრძოლის,
—წესი მშვიდობავი ჩვენი ცხოვრების,
თავისუფლება შვილია ბრძოლის
და გამარჯვება ტანჯვა-წამების.
კარი გამიღე მაშ, ჯოჯოხეთო,
რომ გადავეშო ტანჯვის მორევში,
ან შიგ ჩავიხრჩო, მზეს ვერ ავხედო,
ან კვლავ დავბრუნდე ჩემ ტკბილ მხარეში.
ზღვავ დიდებულო, შენ ხარ ის მხარე,
რომელიც აგრე მე შევიყვარე,
შენის იმედით კვლავ ცოცხლობს არე,
მაშ აგრიალდი ნუ ხარ მდუმარე.
მაშ აბობოქრდი, მძლავრი ტალღები,
სამყაროს ზღუდეს სტყორცნე მედგარათ,
ძირს ბასტილიის შავი კედლები!
—შესძახე, რისხვა დაეცი მეხათ.
და შეანგრიე... გამარჯვებულო,
სიმღერა ვუძღვნათ იმ ნეტარ დროსა
და ნანგრევებზე სასიხარულო
თავისუფლების აღვმართო დროშა.

ბ. გელა.

---

## ეფისკოპოზის სიზმარი.

(გაგრძელება. იხ. „ეშმ. მათრ." № 23.)

(მეორე კარებიდან შემოდის ივანე ქალალდებით ხელში, ქალალდებს მაგიდაზე დააწყობს, შემდეგ მიიხედ-მოიხედავს, შკაფს გააღებს და დაისხამს ღვინოს).

ივანე. (ხელებს ალაპყრობს) მომიხსენე მე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა! (სვამს, შემდეგ საჭმელს სჭამს. მეორეთ დაისხამს და ხელებს ალაპყრობს) მომიხსენე მე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა! (კიდევ დაისხამს და სვამს. შემდეგ პურსა და ქათმის ბარკალს ჯიბეში ჩაიდებს გძელი კაბის ქვეშ და შკაფიდან ძეხვს გამოიღებს). უფალო! თუ ეფისკოპოზისათვის არ არის ცოდვა დიდმარხვის ჭამა, ნურც მე ჩამითვლი ცოდვათ. შკაფის კარებს მიკეტავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დანარჩენს ჯიბეში ჩაიდებს ამ დროს შემოვა ეფისკოპოზი და შეჩერდება. ივანე გაჩერდება, ღექვას თავს ანებებს და ლოყა ლუკმით გამობერილი დარჩება).

ეფისკოპოზი. ლოყა რამ გაგისივა?

ივანე. (ხელს მიიდებს ზედ, ლუღლუღებს, რადგანაც ლუკმა ლაპარაკს უშლის, და იმანჭება, თითქოს რამე სტკიოდეს) კბილი ამტკივდა, ყოვლად სამღვდელო, კბილი.

ეფისკოპოზი. წეღან კარგათ იყავი? ასე ჯცებ რამ აგატკივა?

ივანე. ახლა ამტკივდა, ყოვლად სამღვდელო.

ეფისკოპოზი. (მიუახლოვდება) აბა მაჩვენე, შიგ ჩაგხედო, ქიასაგან ხომ არ არის გამოხრული?

ივანე. ყოვლათ სამღვდელო, მე რა ღირსი ვარ, ხელს ნუ გაისვრით.

ეფისკოპოზი. (ხელს მოჰკიდებს თავზე) მე მხოლოდ ჩაგხედავ. თუ წამხდარია უნდა ამოაღებიო.

ივანე. (განზე) დავიღუპე სწორეთ! (დაიწყებს კვნესას და ცალ ფეხზე კანკალს) ააჰ, ააჰ, ააჰ, ააჰ, ააჰ.

ეფისკოპოზი. რა დაგემართა, ივანე! უნდა მოითმინო.

ივანე. ნამეტანი მამიმატა ყოვლად სამღვდელო, ნამეტანი. (პირდამუწული ლაპარაკობს) პირიჩ დაღება არ შემიძლია. კბილს როგორც მოვაშორებ კბილს ნამეტანი შამაფრინდება ხოლმე. ახლა თუ პირი დამაღებიეთ, მთლათ მოვკვდები.

ეფისკოპოზი. მაშ წადი და ილოცე. მეც ვილოცავ, რომ უფალმა მალე განკურნოს შენი სატკივარი.

ივანე. (მიდის) მივწვები და მალე გადამივლებს (გადის ეფისკოპოზი ხატს სანთელს დაუნთებს, პირჯვარს გადისახავს, ხელებს მაღლა ალაპყრობს; გამოტრიალდება, მაგიდასთან დაჯდება და ქაღალდებს ათვალიერებს. შემდეგ რამოდენიმე ხანს სწერს. ადგება შკაფიდან გამოიღებს საჭმელებს და ღვინოს, დადგამს და შეექცევა. ღვინოს ხშირათა სვამს. კარი გაიღება ეფისკოპოზი შეკრთება, საჭმელებს ქაღალდებს აფარებს, მაგრამ რომ დაინახავს ახალგაზრდა, ქართულად თავდახურულ, ქალს, სახე გაუბრწყინდება და წამოდგება).

ეფისკოპოზი. შენა ხარ ევა? (მიუახლოვდება, ხელებს ხელებში მოჰკიდებს და ტუჩებში აკოცებს.)

ევა. როგორ! შენ როგორც გატყობ, სხვას ელოდი! (თითს დაუქნევს) აა, შე ეშმაკო შენა! (ევა მოსასხმელს მოიხსნის და ორივე ერთათ დასხდებიან. ეფისკოპოზი ხელს მოჰხვევს და შეჩერაბია).

ეფისკოპოზი. მე, ყოველივე უარვყავი ამ ქვეყნიური და ჩემი არსება ზეცას შევსწირე (მობნედილ თვალებს მაღლა ალაპყრობს სიწმინდის ნიშნათ), მაგრამ...

ევა. (ღიმილით გააწყვეტინებს) მაგრამ ქალებს კი ვერ დაანებე თავი! (გადიკისისებს).

ეფისკოპოზი. არა, ჩემო ევა! აქ ქვეყნათ ქრისტემ სიყვარული დათესა და მე მხოლოთ სიყვარულს წავიღებ საიქიოს ამ ცოდვილი ქვეყნიდან.

ევა. არა, სიყვარულს კი არ წაიღებ, ცოდვას წაიღებ, ცოდვას, რომ მე შემაცდინე და გამაუბედურე.

ეფისკოპოზი! (ხელს მოხვევს და აკოცებს. შემდეგ ხელმოხვეულია სულ) არა ჩემო საყვარელო! დასაბამიდან ქვეყნისა დედაკაცმა აცდუნა მამაკაცი. ევამ ადამი შეაცდინა და შენც მე შემაცდინე, მომხიბლე შენის მშვენებით. მაგრამ ეს არ მესმის, რითი გაგაუბედურე.

ევა. აბა რა არის, თუ არ უბედურება? მალულათ უნდა შამოვიპარო შენთან, რომ არავინ დამინახოს, მალულათ უნდა წავიდე. თუ ვინმემ მოგვისწრო, უნდა დავიმალო; აშკარათ, ახდილათ, საჯაროთ, ყველასთან ვერ მოგესიყვარულები, ვერ მოგეალერსები.

ეფისკოპოზი. (წამოხტება და აჩერებს) ევა, ევა! აბა რას ლაპარაკობ? აბა შენ თვითონ დაფიქრდი, მაშინ ხომ დაეცა სიწმინდე სარწმუნოებისა, ხომ გაირყვნა ხალხი?

ევა. როგორ? მე რომ საქვეყნოთ ვსთქვა, რომ შენ მიყვარხარ და შენ გეკუთვნი, ამით სარწმუნოებას რა დააკლდება?

ეფისკოპოზი. (მოუჯდება და ხელს მოხვევს) როგორ არ დააკლდება, ევა, რას ლაპარაკობ?

ევა. რათი დააკლდება, რათი, ერთი ამიხსენი!

ეფისკოპოზი. რათი დააკლდება და...იმითი... იმითი დააკლდება, რომ... ერთის სიტყვით დააკლდება, ძალიან დააკლდება სარწმუნოებას. სიწმინდე სარწმუნოებისა ამას მოითხოვს და შენც უნდა დაიჯერო, უნდა იწამო. ვინც კითხულობს, რატომ და რისთვისო, ის ამით ეშმაკის გზას ადგია.

ევა. არაფერი არ მესმის. ცოლ-ქმრობა თვითონ ღმერთმა აკურთხა და მე კი უფლება არა მაქვს, ვთქვა, რომ მეცა მყავს ქმარი.

ეფისკოპოზი. (წამოხტება) ევა, რას ლაპარაკობ? ჯერ ერთი, რომ მე შენი ქმარი არა ვარ...

ევა. (გააწყვეტინებს) მაშ საყვარელი ხომ ხარ, საყვარელი.

ეფისკოპოზი. ევა, რა დაგემართა? (მიბნედილ თვალებს მაღლა ალაპყრობს) ჩვენს შორის არის მხოლოთ სულიერი კავშირი, ჩვენა ვართ მხოლოთ სულიერათ შეუღლებულნი. (მოუჯდება, ხელს მოხვევს და აკოცებს).

ევა. კარგი სულიერი კავშირია, როდესაც მე უკვე ორსულათა ვარ.

ეფისკოპოზი. (წამოვარდება) ჰა, ეგ რა სთქვი? ეგ რა სთქვი, შე ცოდვის შვილო?

ევა. რა ვსთქვი და ისა ვსთქვი, რომ ორსულათა ვარ, გესმის? ორსულათა ვარ!

ეფისკოპოზი. შენ არ მეუბნებოდი, მე შვილი არ მეყოლებაო?

ევა. რვა წელიწადი ქმარი მყავდა და შვილი არა მყოლია. მეც მეგონა, რომ არც შენთან მეყოლებოდა.

ეფისკოპოზი. (დადის ჩაფიქრებული და აღელვებული, შემდეგ შედგება) ახლავე მუცელი უნდა წაიხდინო.

ევა. არასოდეს! როდესაც დავრწმუნდი, რომ ჩემს მუცელში შვილია, ჩემი საკუთარი შვილი, მე ის უზომოთ შემიყვარდა, მე ის მთელ ქვეყანას მირჩევნია და ის უნდა მოვკლა ჩემის ხელით? არასოდეს!

ეფისკოპოზი. ეგ შეუძლებელია. სარწმუნოება შვილზე უფრო უნდა გიყვარდეს.

ევა. იქნება სიწმინდე სარწმუნოებისა მოითხოვს იმას, რომ მე მუცელი წავიხდინო?

ეფისკოპოზი. სწორეთ ევა, სწორეთ! სიწმინდე სარწმუნოებისა გვავალებს ჩვენ, რომ შენ მუცელი წაიხდინო.

ევა. ხა, ხა, ხა, ხა! არასოდეს! არასოდეს!

ეფისკოპოზი. (ხვეწნით) ევა, ჩემო კარგო' ჩემო მშვენიერო, ჩემო საყვარელო ევა! აბა შენ თვითონ დაფიქრდი. ხომ გაირყვნა ხალხი, ხომ დაეცა სარწმუნოება.

ევა. (გააწყვეტინებს) კისერი უტეხია ხალხსაცა და შენს სარწმუნოებასაც. მე ჩემი შვილი ყველას მირჩევნია.

ეფისკოპოზი. (გაანჩხლებული ხელს ხელში წაავლებს და ზეზე წამოაგდებს) უნდა წაიხდინო, გესმის? უნდა წაიხდინო მუცელი, თორემ ჩემის ხელით მოგკლავ, დაგახრჩობ. (ანჯღრევს შემდეგ განშორდება და თავჩაქინდრული, თითქოს დარცხვენილი დადის).

ევა. (შეაჩერდება) სულიერ მამას დამიხედეთ, სულიერ მამას! (გატრიალდება, მოსასხმელს იხამს და კარებისაკენ მიდის. ეფისკოპოზი წინ გადაეღობება).

ეფისკოპოზი. (ვედრებით) ევა! დაფიქრდი კარგათ, გულ-დამშვიდებით ასწონ-დასწონე და მაშინ აღარ გამამტყუნებ მომიცადე. (გატრიალდება. მაგიდას უჯრიდან ორას-მანათიანს ამოიღებს და ევას აძლევს) დაგჭირდება.

ევა. (ფულს ართმევს და ინახავს) ხვალ ღამე მოვიდე?

ეფისკოპოზი. მაგას რაღა კითხვა უნდა? (ევა გადის. ეფისკოპოზი კარებთან უძახის) ევა, კარგათ დაფიქრდი, კარგათ. (გამოტრიალდება და დაფიქრებული დადის) უსათუოთ უნდა წავახდენინო მუცელი, უსათუოთ. (დადის ჩაფიქრებული) თუ არ დავლიე, ფიქრი ნამეტანს მიზამს. ჩვენს სულიერს კავშირს თუ ეს შედეგი მოჰყვებოდა, არ მეგონა (მაგიდასთან მივა და ღვინოს გამოცლის. შემდეგ დაფიქრებული დადის. შკაფთან მივა რამდენჯერმე და ღვინოსა სვამს) ეეეხ, (შეზარხოშებული) დავიღალე; ღვთისა და ქვეყნის სამსახურმა დამქანცა... ძილი მეპარება. (სკამზე ჩამოჯდება, ხელს მაგიდაზე ჩამოსდებს, ზედ თავს დააყრდნობს და მალე ხვრინვას ამოუშვებს)

**ი. გომართელი.**

(შემდეგი იქნება).

## ჯადოქარი.

მკითხველებს ვეხვეწები ცოტა მომიცადოს,
ყველაფერი აუხსნა, რაც მოუხდა ლადოს...
ორსულების კასაში, აკეთებდა ჯადოს,
ხალხს ქანქარი შექონდა, აბა ვიდას ანდოსა?
ხალხი ბევრი შეგროვდა, ფულის მიღების დროსა.
კასა ცალიერია!! ვიდას სთხოვონ? სანდროსა?!
მაშ რაღა ქნას ლადომა? ძრიელ რომ ეცადოსა?
ხალხის ვალი დაედო, რითი გადიხადოსა?
ხალხი აცრემლებულა და სწყევლიან ლადოსა.
ლადო ამბობს: ის ჰქნას, ხალხმა, რაც ეწადოსა!...
მაგრამ ვერსად წაუვა, ამ საშინელ ცოდვასა,
თავს ვეღარ გაიმართლებს, ნუ დაიწყებს ბოდვასა!...

შმაგა.




## პრემია.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქციამ დაადგინა: ვინც 2 აპრილამდე წარმოადგენს საუკეთესო ბიოგრაფიას, ცნობილი, ფოთელი მოღვაწის **იაკობ ფანცხავასას**, მას მიეცემა პრემიათ სურათი აღნიშნული მოღვაწისა და თუ მიმღები ფედერალისტი აღმოჩნდება, სურათს გარდა მიეცემა **აკობიას უკანასკნელი სიცრუე**, ოქროს ყდაში.

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

„ეშმაკის მათრახის“ მე-18 ნომერში მოთავსებულია ხაშურიდან ბ-ნი ფონ ტეფოს წერილი, რომელშიაც ბრალსა გვდებს ჩვენ იასონ ბოჟაძესა და ლალიშვილს. ამისათვის ვიწვევთ ბ-ნ ფონ ტეფოს სამედიატორო სამართალში, რათა დაგვიმტკიცოს აღნიშნული ბრალდებანი. მედიატორებათ ვასახელებთ: მიტროფან ჯანელიძეს, მარკოზ ბენდიაშვილს, თედორე კიკვაძეს და გაბრიელ შენგელიას.

სადგურ მიხაილოვის ტურმოზნი კონდუქტორები:
იასონ ბოჟაძე და ალექ. ლალიშვილი.

—

ბ-ნო რედაქტორო! „ეშმ. მათრახის“ მეცხრამეტე ნომერში მოთავსებულია სუფსიდან კორესპონდენცია „კასიოს“ ფსევდონიმით. კორესპონდენციაში სხვათა შორის, ჩემი სახელიც არის შეურაცხყოფილი. რისთვისაც სიმართლის აღსადგენათ ვიწვევ ბ-ნ კასიოს სამედიატორო სამართალში. ჩემის მხრით ვასახელებ ნესტორ ხორგუას და ვასილ მელაძეს. ვსთხოვ კასიოს თითონაც დანიშნოს მედიატორეები ამ ცნობის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში.

კ. ორჯონიკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა





მესამე დუმა და მისი კომისიები.

## მესამე დუმა.

როგორ ჩუმაა!!
ეს რა დუმაა?
ზედვე ეტყობა ნაგვიანობა!
ნახო ნაგავი
და წარგო თავი
განა ეს არის ,,საქმიანობა?‘‘
წაიღო ძალა,
(ისე იმრავლა)
ნაგვის მქექავმა კომისიებმა,
ძველს წააჭარბა
(შეხედეთ აბა)
გარეშე ვალმა და ნისიებმა.
ნაგვის ქექაში
და გაჩხრეკაში
ჩვენი ქათმებიც კი ფეხ-მარდობენ
ან მათ წიწილებს
ვინ გააწბილებს
კომისიაში არა ვარგოდენ.
აბა იმათი
ნახე სურათი,
თუ ჩვენი დუმა არ გაგახსენდეთ
და მსჯელობაში,
გულ-წრფელობაში
როგორც იმ დუმას, ამასაც ენდეთ.

—კი.

## „ეშმაკის მათრახის“ ფოსტა

**საგარეჯო.** ვასილ სამხარაძეს. თქვენი წერილი, შესახებ მღვდ. სამსონ გაჩეჩილაძის მიერ ფულის წართმევისა და სხვა მრავალ უმსგავსოებათა ჩადენისა არ იბეჭდება. თქვენი წერილიდან სჩანს, რომ ამის შესახები საბუთები მწყემსის რედაქციაში წარგიდგენიათ და იმედია მამა დეკანოზი არ დაფარავს.

**ბათუმი.** განწირულს. ერთხელ არ დაწერილა ჩვენს გაზეთში, რომ უსახელო წერილებს არა ვბეჭდავთ. თქვენი ლექსი არც სხვა მხრივ გამოდგა სავარგისი.

**ოზურგეთი.** მაღალიშვილს. თქვენი წერილი იმისთვის არ იბეჭდება, რომ არავითარ ცნობებს არ შეიცავს აღნიშნული პირის დანაშაულობა არა დანაშაულობაზე. ზეპირათ მათრახის კუდს არა ვხმარობთ.

### ბ-ნ ს ა ვ ა ს.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია, აგერ სამი კვირაა ელოდება თქვენგან დამატებით ცნობებს თქვენი კორესპონდენციის დასასაბუთებლათ და ჯერაც ამაოთ. ხუთი აპრილიდან საბუთი გვექნება აღარ ველოდოთ და სამედიატორო სამართალი დავიწყოთ.

რედაქტორ-გამომცემელი **თ. ბოლქვაძე.**

რედაქციის ადრესი: **Тифлисъ въ редакцію „Ешмакисъ Матрахи“.**